№ 201

შაბათი, 16 სექტემბერი, 1900 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მ. კ. | თვე | მ. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 6 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 7 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 201

შაბათი, 16 სექტემბერი, 1900 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

**სოფიო ათანასეს ასული და ალექსანდრე ივანეს ძე ჯავახიშვილები შვილებითურთ** სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ მობრძანდნენ კვირას, 17 სექტემბერს, სოფ. ხოვლეში (გორის მაზ. რა), სადაც გარდახდილ იქნება წლის წირვა გარდაცვალებულის

**მიხეილ ალექსანდრეს ძის ჯავახიშვილის**

სულის მოსახსენებლად (1—185—1)

ე ქ ი მ მ ა

**მიხეილ გედევანიშვილმა**

**განაახლა ავადმყოფთა მიღება.**

დილით 12—1 საათამდე და საღამოთი 6—7 საათამდე.

ნიკოლოზის ქუჩა, № 21. (5—5.—4)

ქ უ თ ა ი ს შ ი

ს ა ვ ა ჭ რ ო ს ა ხ ლ ი

**„ი. გოკიელოვის შვილები"**

რადგანაც წელს **მოწაფეთათვის რვეულებს ვამზადებთ ქუთაისშივე** და შემზადება ნაკლებ ფასად გვიჯდება, ამიტომაც **გავაუმჯობესეთ ხარისხი რვეულის ქაღალდისა**, რომლის მიუხედავად ფასი იგივეა. მსურველთ შეუძლიანთ შეკვეთა ყოველგვარის ხაზებისა და გვექნება უკლებლივ ყოველნაირი რვეულები. (10—164—7)

ამა წლის 7 ოქტომბერს, დილის 9 საათზედ, ქალაქის სახლში, ერევნის მოედანზედ,

**მოხდება**

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა

**საგანგებო კრება,**

რომელზედაც არჩეულ იქმნებიან კანდიდატნი ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლისა და სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობაზედ.

ამავე კრებაზედ განხილული იქმნება ზოგიერთი საგნები, რომელებიც ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მამულის გამგეობას შეეხება.

ვიწვევთ რა თავად-აზნაურთ საგანგებო კრებაზედ, ვთხოვთ იმათ, ვისაც წარსულ მარტში მომხდარ საგუბერნიო კრებაზედ მონაწილეობა არ მიუღიათ, თავიანთის ცენზის დამამტკიცებელი საბუთების ქაღალდები წარუდგინონ თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს საგანგებო კრების დაწყებამდე.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი გენერალ-მაიორი

(3—5.—1) საგინაშვილი

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8–10 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

**მ. ა. პოკროვსკი**—შინაგანი, ბავშვებისა, (ყვავილის აცრა) და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

**ნ. ა. მულინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

**ვ. გ. წერეთელი**—შინაგანი და ბავშვებისა—11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. $12^1/_2$—$1^1/_2$ საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**ვ. ლ. მარკევიჩი,** სადოსტაქრო.—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2.

**საღამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

**პირველი კერძო სამკურნალო**

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**გ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. ე. ჩიქოვანი.** 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ი. თ. პროტასევიჩი**—5—6 საათამდე.

**ა. ნ. შჰაკოვსკი.**—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

**გ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра **Навасардiана**.

Тифлисъ, противъ памятн. Вороцову.

## ახალი ამბავი

*** მომავალ წელს გლასგოში (ინგლისშია სამეურნეო და სამრეწველო საერთაშორისო გამოფენა გაიმართება, რომელზედაც უმაღლესის ბრძანებით, რუსეთიც მიიღებს მონაწილეობას.

*** ტფილისის საგუბერნიო ადმინისტრაციამ ნება დართო, რომ მაჩხაანის ქსენონისთვის სოფლის საზოგადოების ხარჯით ბებია ქალი და ფერშალი იქმნენ მიწვეულნი.

*** ხუთშაბათს, 14 სექტემბერს, ქალაქის გამგეობის დარბაზში სხდომა ჰქონდა ქალაქის სასწავლებელთა კომისიას, რომელსაც უნდა განეხილა 8 საქმემდე. კომისიამ მოასწრო ზოგიერთ საქმეების განხილვა და, სხვათა შორის, დაადგინა: 1) დაწესებულ იქმნას ქალაქის სასწავლებელთა მკურნალისა და ერთის ფერ-

## ფელეტონი

**უცხოთა შორის**

პრეზიდენტის არჩევანები ამერიკაში.—როგორ ემზადებიან არჩევანებისათვის.—ოსმალეთის სულთანის აბდულ-ჰამიდის 25 წლის იუბილეი.—კერძო ცხოვრება სულთანისა, იმისი ჰარამხანა.—დედათა კონგრესი პარიჟში.

მოახლოვდა პრეზიდენტის არჩევანების დღე ამერიკაში და კიდეც დაიწყო დასთა არა-ჩვეულებრივი ბრძოლა. თუმცა არჩევანები ნოემბერში უნდა მოხდეს, მაგრამ ხალხი ივლისშივე შეუდგა მზადებას და აგიტაციას ამა თუ იმ კანდიდატის სასარგებლოდ. არსად, არც ერთ სახელმწიფოში არჩევანები იმდენს მითქმა-მოთქმას, სიცოცხლეს, მოქმედებას, აგიტაციას არ იწვევს, როგორც ამერიკაში. ყველა ამერიკელი წოდებისა და შეძლების განურჩევლად, მხურვალე მონაწილეობას იღებს არჩევანებში. ოთხის თუ ხუთის თვის განმავლობაში ამერიკელისათვის არჩევანების გარეშე თითქმის არაფერი არ არსებობს. აი ეხლაც: თუმცა ამერიკის რესპუბლიკა სხვა სახელმწიფოებზედ ნაკლებ არ არის დაინტერესებული ჩინეთის საქმეში, მაგრამ ხალხი და თვით მთავრობაც-კი მაგდენ ყურადღებას არ აქცევს ჩინეთს და უფრო მომავალის არჩევანების მზადებაშია.

ამერიკაში ორი უმთავრესი დასია—რესპუბლიკანური და დემოკრატიული. არიან სხვა წვრილმანი დასებიც, მაგრამ მათ ძალა და გავლენა არა აქვთ, ამიტომ ბრძოლა უმთავრესად ორ დასახელებულ დასთა და იმათ კანდიდატებს შორის იმართება. ორსავე დასის მეთაურნი მეცადინეობას არა ჰზოგავენ, ყოველ საშუალებას ხმარობენ, ათას ხრიკს იგონებენ, რომ მეტი მომხრე შეიძინონ და თავის კანდიდატი გაიყვანონ. რასაკვირველია, უმთავრესი ამ შემთხვევაში დასის პროგრამაა და ის პოლიტიკა, რომელსაც იგი თავის კანდიდატის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ დაადგება. მაგრამ დიდი მნიშვნელობა აქვს არჩევანების დროს აგრეთვე თვით კანდიდატის პიროვნებასა, იმის ღირსება-ნაკლულევანებასაც. ამ შემთხვევაში მოწინააღმდეგენი არ ინდობენ ერთმანეთს და ვაი იმ კანდიდატს, რომლის ცხოვრებაშიაც ისეთ რამეს აღმოაჩენენ, რაიცა ასე თუ ისე ჩირქსა სცხებს იმის კაცობას. ჭორებსაც დიდი გასავალი აქვს ამ დროს. ხშირად გაზეთებში ისეთ რამეებს სწერენ კანდიდატის შესახებ, რომ კაცი გაოცდება. ამ რვა წლის წინად, მაგალითად, კანდიდატის კლიველენდის შესახებ ხმა გაავრცელეს, რომ ახალგაზდობაში კლიველენდმა ერთი ქალი შეაცდინა, დაჰპირდა ცოლად შევირთავო, მაგრამ როდესაც ქალს შვილი გაუჩნდა, აღარ შეირთოო. ამ ოთხის წლის წინად კიდევ რესპუბლიკელნი მოწინააღმდეგე დასის კანდიდატს ბრაიანს ახალგაზდობას უსაყვედურებდნენ. როდესაც ჩვენი კანდიდატი მაკ-კინლეი, ამბობდნენ ისინი, რესპუბლიკის ერთობისათვის იბრძოდა, ბრაიანი ძუძუსა სწოვდაო.

***

წელსაც, როგორც წინა არჩევანების დროს, რესპუბლიკელებმა თავიანთ კანდიდატად აწინდელი პრეზიდენტი მაკ-კინლეი დაასახელეს, ხოლო დემოკრატებმა—ბრაიანი. როგორცა ვთქვით, აგიტაცია ივლისიდგანვე დაიწყო: ორსავე დასის მეთაურებმა გამოაქვეყნეს პროგრამები, გაგზავნეს კაცები ქალაქებსა და სოფლებში სიტყვების წარმოსათქმელად თავიანთ კანდიდატების სასარგებლოდ, გამართეს კრებანი და სხვა. უმთავრესი კრება რესპუბლიკელებმა 21 ივნისს გამართეს ფილადელფიაში, ხოლო დემოკრატებმა 4 ივლისს კანზას-სიტში. ორსავე კრებას დიდძალი ხალხი დაესწრო, თვითოს 20,000-მდე კაცი. დელეგატები შტატების ყველა კუთხიდგან იყვნენ. მეთაურნი ხარჯს არ ერიდებოდნენ, რომ რაც შეიძლება მეტი ხალხი მიეზიდათ. დემოკრატთა კავშირმა, მაგალითად, განსაკუთრებული მატარებლები დაიქირავა კანზას-სიტში მომავალ დელეგატთათვის, იყიდა იმათთვის 10,000 ბოთლი ლუდი, 1000 ბოთლი შამპანიური, 500 ყუთი სიგარა, დაიქირავა კანზასში სასტუმროები და სხვა. ასევე დაუხვდნენ რესპუბლიკელნი თავიანთ დელეგატებს.

ეს ჯერ არაფერია, უმთავრესი არჩევანების დღეს მოხდება. გაზეთების სიტყვით, ამ დღისთვის დემოკრატნი და რესპუბლიკელნი 9000 ორატორს ამზადებენ. ეს ორატორნი ქალაქებსა და სოფლებს მოედებიან და ქუჩებსა, მოედნებსა, ერთის სიტყვით ყველგან, სადაც-კი ხალხი შეიკრიბება, სიტყვებს წარმოსთქვამენ, ან სხვაფრივ ეცდებიან ამა თუ იმ კანდიდატის სასარგებლოდ. ზოგი ამათგანი, მაგალითად, ცოცხალ სურათებს გამართავს, ზოგი ლექსით შეაქებს კანდიდატს, ზოგი კიდევ სიმღერით. ამ ორატორებს ეგზამენების შემდეგ ჰნიშნავენ. ორსავე დასს ამისათვის განსაკუთრებული ეგზამენატორები ჰყავს.

მარტო დასის მეთაურნი არ მეცადინეობენ არჩევნების დროს. თვით ხალხიც, ამომრჩეველნიც გაფაციცებით ადევნებენ თვალ-ყურს ყოველსავე და მოუთმენლად მოელიან არჩევანების დღეს. ბევრნი ნება-ყოფლობით ჰმეცადინეობენ ამა თუ იმ კანდიდატის სასარგებლოდ. ერთი ინგლისური გაზეთი გადმოგვცემს, მაგალითად, რომ ნიუ-იორკის უმაღლეს საზოგადოების რამდენმამე მანდილოსანმა გადასწყვიტა შეუდგეს აგიტაციას ბრაიანის სასარგებლოდაო. მანდილოსნებს აზრადა აქვთ თურმე ამერიკის ყველა შტატი მოიარონ.

ბევრგან ამომრჩეველნი სანაძლეოსა სდებენ იმის შესახებ, ვინ იქმნება არჩეული, ბრაიანი თუ მაკ-კინ-

შლის თანამდებობანი. მკურნალს ჯამაგირი ექმნება 1200 მან. წელიწადში და გზის ხარჯადაც 300 მან., ხოლო ფერშალს 360 მან. ამასთან დაევალა ქალაქის სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორს, შეადგინოს სასწავლებელთა მკურნალისათვის ინსტრუქცია და წარმოუდგინოს კომისიას განსახილველად; 2) დაავალოს ქალაქის სკოლების გამგეთ ყოველ წლობით წარმოუდგინონ ხოლმე მათდამი რწმუნებულ სკოლების ანგარიში; 3) ავლაბარში პროგიმნაზიის ნაცვლად სამრეწველო სასწავლებლების დაარსების გამო კომისიამ ამოირჩია მცირე კომისია, რომელსაც დაავალა განიხილოს დაწვრილებით ეს საქმე და შემდეგ წარმოუდგინოს მოხსენება განსახილველად და სხვანი.

⁂ ამ ჟამად ფინანსთა სამინისტროში განსაკუთრებული კომისია იკვლევს იმას, რომ შემცირებულ იქმნას ხორბლის გადატანაზე რკინის გზის ტარიფი.

⁂ ბაქოს ნავთის მწარმოებელთა კრება ამიერიდგან, ფინანსთა სამინისტროს ბრძანებით, ყოველ წელს ნოემბერში უნდა მოხდეს.

⁂ კავკასიის გზათა მმართველობა უკვე შეუდგა კახეთის გზის შეკეთებას ტფილისიდგან სადგურ ვაზიანამდე. მუშაობა ამ შემოდგომაზედ უნდა დასრულდეს.

⁂ ტფილისის გუბერნატორის საგანგებო მინდობილებათა მოხელე ბარანოვსკი და აგრონომი სააკოვი ამ წინაზედ ახალქალაქის მაზრაში გაიგზავნენ დაზარალებულ გლეხთა მდგომარეობის გამოსაკვლევად. ისინი უკვე დაბრუნდნენ ტფილისში და ცუდი ამბები მოიტანეს. 24 სოფელში (მათ შორის უმეტესი სომხების სოფლებია, უმცირესი—ქართველებისა და თათრებისა) ბაღლინჯოს სრულიად გაუნადგურებია პური, და მცხოვრებნი გაჭირვებულს მდგომარეობაში არიან. ყანების დასათესად საჭიროა 43 ათასი მანეთი, ხოლო დამშეულთა გამოკვება მარტო ერთის თვით 17 ათასი მანათი დაჯდებაო. ბაღლინჯოს ამოსაწყვეტად საჭიროა გადიწვას ყანები, მაგრამ ჯერ ცეცხლი არ ეკიდება, რადგანაც ნათესი ნედლია. საშიშოა, სხვა მაზრებშიაც არ გადვიდეს ბაღლინჯო. ახალქალაქში დაარსდა დამხმარებელი კომიტეტი მაზრის უფროსის ზისსერმანის თავმჯდომარეობით.

⁂ როგორც ამას წინადა ვწერდით, მალე გამოაქვეყნებენ, რომ წითელის ჯვრის საზოგადოების სასარგებლოდ რკინის გზით მოგზაურთა ბილეთებს თითო შაური მეტი გადაახდევინონ ხოლმე, I და II კლასით მოგზაურთ იმ შემთხვევაში, როდესაც სამგზავრო ბილეთი 2 მანეთზედ ნაკლები არა ღირს და მე-III კლასით მოგზაურთათვის,—როდესაც 8 მანეთზედ ნაკლები არა ღირს.

⁂ განზრახვა თურმე აქვთ ყარსის ოლქის დ. კაგიზმან'ში ამ წელს სამაზრო ხაზინა გახსნან.

⁂ კავკასიის რკინის გზისთვის განმარტებულია, რომ თუ მატარებელში ჯარის-კაცთ უბილეთოდ დაიჭერენ და არც სხვა რაიმე საბუთის ქაღალდი აღმოაჩნდება რკინის გზით უფასოდ წასასვლელად, რკინის გზის კონდუქტორები მოვალენი არიან მახლობელ სადგურის კამენდანტს წარუდგინონ ხოლმე იგინი.

⁂ საბურთალოს (ვერაზე) ახალშენის მცხოვრებთ თხოვნა მიუციათ საგუბერნიო მმართველობისათვის, რომ ეს ადგილი ქალაქთან იქმნას შეერთებული.

⁂ სასულიერო უწყებაში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ადგილობრივის სამღვდელოებისათვის განსაკუთრებული საეპარქიო გამსესხებელი კასსები იქმნას დაარსებული ყველგან.

⁂ ამ ჟამად სასულიერო უწყებაში უკვე შესდგომიან იმ პროექტის შემუშავებას, თუ სამღვდელოთა და მათს ოჯახობას რა პენსია უნდა დაენიშნოთ ხოლმე, ან დროებით რა დახმარება უნდა აღმოუჩინონ.

პენსიისა და დროებით ფულად შემწეობის მიღება სამღვდელოთა და მედავითნეებს, აგრეთვე მათს ქვრივებსა და ობლებს შეუძლიანთ მხოლოდ შემდეგს შემთხვევაში: თუ რომ სამღვდელოსა და ეკკლესიის მსახურს 20-30 წელიწადი უმსახურნია და სამსახურიდგან გადამდგარა, მიეცემა ერთი მესამედი პენსიისა; ვისაც 30—35—უმსახურნია, მიეცემა ორი მესამედი, ხოლო ვისაც 35 წელიწადი და მეტი უმსახურნიათ, იმას სრული პენსია. ავადმყოფობისა და სრულის მოუძლურებისა გამო სამსახურიდგან გადამდგართ მიეცემათ პენსია: 20-30 წელიწადს ნამსახურთ ორი მესამედი პენსიისა, ხოლო 30 წლის ნამსახურთ—სრული პენსია.

⁂ საერო განათლების სამინისტროს წინადადება შეუტანია, რომ ხუთის წლის განმავლობაში მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოებას ექვსი ათასი მანეთი მიეცეს ხაზინიდგან კავკასიისა და აღმოსავლეთ გუბერნიების გამოკვლევათა გამოსაცემად.

⁂ როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იწერებიან, ლ. ნ. ტოლსტოის ახალი ნაწარმოები „ჩვენის დროის მონები" მალე თურმე გამოვა ან ცალკე წიგნად, ან-და მოსკოვის დრო-გამოშვებითს გამოცემაში „ფილოსოფიისა, ფსიხოლოგიის კითხვებში".

⁂ ახალქალაქის მაზრიდგან სწერენ „Нов. Обозр"-ს, რომ იქ მთიან ადგილებში ყანები სრულიად დამზრალა.

⁂ იმავე გაზეთს ატყობინებენ, რომ პეტერბურგიდგან ტფილისში ჩამოსულა მხატვარი კანდაუროვი, რომელსაც განზრახვა თურმე აქვს ტფილისში სამხატვრო სკოლა გახსნას: სკოლის გახსნა დამოკიდებულია იმაზედ, თუ ადგილობრივი საზოგადოება რამდენად თანაგრძნობით მიეგებება ამას და რა ნივთიერს დახმარებას აღმოუჩენს. ეს ფული მიემატება იმას, რომელსაც მთავრობა გარდაუწყვეტსო.

განზრახულს სკოლას აზრადა აქვს ადგილობრივ მცხოვრებთა სამხატვრო განვითირებას ხელი შეუწყოს და მისცეს მოსამზადებელი განვითარება მხატვრებს, მექანდაკეთა და ხუროთ მოძღვრებს. სკოლავე ჰზრუნავს ადგილობრივს ხელოსნებს სამხატვრო გემოვნება განუვითაროს. სკოლა საიმპერატორო სახლის გამგეობის ქვეშ იქმნება.

ვინც რომ აღნიშნულ სკოლის სამეცნიერო-სამხატვრო კლასსებს დაასრულებს, შემდეგი უფლებანი მიეცემა: სამხედრო ბეგრის მოხდის დროს შეღავათი ექმნება, მხატვრები და მექანდაკენი, რომლებიც ამ სკოლებიდგან გამოვლენ, მიიღებენ ხატვის მასწავლებლის წოდებას საშუალო სასწავლებლებში; ხოლო ისინი, ვინც ხუროთ მოძღვრებას შეისწავლის—ხუროთ მოძღვართა თანაშემწეების უფლებას; თუ ვინმე აქ სწავლა-დამთავრებულთაგანი სწავლის განგრძობას მოისურვებს, ნება ექმნებათ საიმპერატორო სამხატვრო აკადემიასთან არსებულს უმაღლესს სამხატვრო სასწავლებელში შევიდნენ.

⁂ ა. ანდრ. დუბროვინის წიგნის მაღაზია სწერს ყაზანიდგან გრიკუროვის წიგნის მაღაზიას ტფილისში, რომ მან დაუყოვნებლივ გაუგზავნოს 150 ცალი Русское Слово"-ს პირველი ნაწილისა, ამდენივე მეორე ნაწილისა, 25 ცალი „მეთოდიკისა მასწავლებელთათვის" და 5 ცალი „Разборъ учебныхъ руководствъ по русскому языку".

„Русское Слово"-ს ავტორს გადაუწყვეტია ამ დღეებში გაუგზავნოს ორივე ნაწილი „Р. С."-სი მეთოდიკითურთ სამოსწავლო ოლქის ყველა მზრუნველებს რუსეთში გასაცნობად. იმედია მაშინ სხვა ოლქებიდგანაც მოითხოვენ, როგორც ყაზანის ოლქიდგან ითხოვენ.

⁂ პეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ „ნოვ. ობოზრ."-ს, რომ „პრავიტ. ვესტნიკში" დაბეჭდილია მთავრობის შემდეგი განკარგულებანი: 1) შორაპნის მაზრის უფროსად დაინიშნა პოდპოლკოვნიკი სუშჩინსკი; 2) ტფილისის საკომერციო ბანკისა და ტფილისის საურთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოების წესდებებში ზოგიერთი ცვლილებაა შეტანილი.

⁂ იმავე გაზეთს სწერენ პეტერბურგიდგან, რომ სამთო დეპარტამენტის დირექტორი იოსსა კავკასიაში იქმნა გაგზავნილი სამინერალო წყლებისა და ნავთის წყაროების დასათვალიერებლადაო.

⁂ ახალ-სენაკიდან შემდეგს ამბავს ატყობინებენ „ცნობ. ფურ".. „29 აგვისტოს დაბა ახალ-სენაკის მახლობლად, ნაშუადღევის ოთხ საათზედ ერთი უბედურება მოხდა. მჭედელს ს. შ—ს შეგირდად ჰყავდა 14—15 წლის ბავშვი ილარიონ ღომია, რომელიც ყანაში გაუგზავნია ცხენისათვის ბალახის მოსატანად. წასვლისათანავე ბიჭს ბატის ყვირილი გაუგონია; იქვე ყანების შუა ბუჩქნარში შეუნიშნავს ბატი რაღაცა ბალახზე მიბმული და ბატის აშვება მოუნდომებია. ბატს ყიყინი დაუწყია. მეორე ყანის პატრონს ევგენი ღომიას გაუგია თუ არა ეს ხმაურობა, დაუვლია საფანტით გატენილ თოფისთვის ხელი, უფიქრია მელას მოუტაცნია ბატი და მისულა ფეხ-აკრეფით, სადაც ბატი ჰყვიროდა ფოთლებთან; უსვრია თოფი იმ ფიქრით, თუ მელა ვერ მოვკალი, ბატს მაინც გავაგდებინებო. თოფის ხმა და ბიჭის ყვირილი ერთი ყოფილა. მიურბენია ბუჩქებთან და თავის მეზობელი სისხლში მოსვრილი უნახავს. შეშინებულმა მორთო ყვირილი, შეიძრა სოფელი, მონახეს მკურნალი დაჭრილისთვის დახმარების აღმოსაჩენად. იმ საღამოს გამომძიებელმა თვითონ გამოჰკითხა დაჭრილს ყველაფერი, მაგრამ დამნაშავე მაინც შეიპყრეს. დაჭრილი მეორე დღეს ქუთაისში თოფურიას საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ ამაოდ. იმ საღამოსვე გარდაიცვალა. დამნაშავე რამდენიმე დღის შემდეგ თავდებობით იქმნა განთავისუფლებული და საქმე სწარმოებს".

⁂ ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორმა შეატყობინა ქალაქის სასწავლებელთა კომისიას, რომ ნაცვლად კუკიის მეორე სკოლის მასწავლებლის ქ-ნ აფანასიევისა, კუკიის ბელინსკის სახელობის მე-III სკოლის—ქ-ნ ნიკოლაძისა და ავლაბრის 1 სასწავლებლის—ქ-ნ ჭიალავევისა, რომელთაც

---

ლეი. მიჩიგანის შტატში ორი ამომრჩეველი დანაძლევებულა. პირობა ასეთი დაუდვიათ: თუ პირველმა წააგო, მეორემ ერთის წლის განმავლობაში იმისი სიდედრი უნდა შეინახოს უსასყიდლოდ, თუ მეორემ წააგო, პირველმა მეორის ვირი უნდა გამოჰკვებოს. ჩიკაგოშიაც დანაძლევებულა ორი მოქალაქე. წამგებმა ორის კვირის განმავლობაში გამობრუნებულ ტანისამოსში გამოწყობილმა უნდა ისეირნოს ქუჩებში. ერთ მდიდარ ბოსტონელს პირობა დაუდვია, თუ ბრაიანი აარჩიეს, შვიდ დღეს ლაქიობას გავწევ რესტორანშიო. მდიდარ ფერმერის, რესპუბლიკელთა მომხრის ქალს, მერი ჯონსონს, გამოუცხადებია თავის საქმროსთვის, რომელიც დემოკრატიულ დასს ეკუთვნის, მხოლოდ მაშინ მოგთხოვდები, თუ ბრაიანი აარჩიეს პრეზიდენტადაო.

* * *

ამ რამდენისამე დღის წინად ოსმალეთის სულთანმა აბდულ-ჰამიდმა გადიხადა თავის მეფობის 25 წლის იუბილეი. ეს იუბილეი მთელის ოსმალეთის დღესასწაულად გადაიქცა. სატახტო ქალაქი სტამბოლი საუცხოვო სურათს წარმოადგენდა თურმე. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, უიმისოდაც კოხტა სტამბოლი ისე მშვენივრად იყო მოწყობილი, მორთული და გაჩირაღდნებული, რომ საღამოთი მნახველის თვალს იტაცებდა. სულთანმა აუარებელი საჩუქარი მიიღო ევროპის მეფეთა და მბრძანებელთაგან. ამას გარდა ყველა სახელმწიფომ წარმომადგენელნი გაჰგზავნა იუბილეიზედ დასასწრებლად.

ოსმალეთის სულთანი აბდულ-ჰამიდ II 1842 წელს დაიბადა. განათლება სულთანმა კარგი მიიღო და ევროპაც კარგად გაიცნო, რადგანაც რამდენჯერმე მოუხდა იქ მგზავრობა. ტახტზედ აბდულ-ჰამიდი ბედნიერ შემთხვევის წყალობით ავიდა. 1876 წელს 30 მაისს ოსმალებმა გადააყენეს ტახტიდგან მაშინდელი სულთანი ბიძა ჰამიდისა აბდულ-ჰაზიზი. ხუთის დღის შემდეგ გადაყენებული სულთანი მოკლული ჰნახეს სასახლეში. დღესაც არავინ იცის, მოჰკლა ვინმემ, თუ თვით მოიკლა თავი. მეფედ უფროსი ძმა ჰამიდისა მურადი მიიწვიეს, მაგრამ, რადგანაც იგი სულით ავადმყოფი აღმოჩნდა, მეფობა აბდულ-ჰამიდს დარჩა.

ოცდა ხუთი წელიწადი გავიდა მას შემდეგ და ამ ხნის განმავლობაში როგორც ოსმალეთმა, აგრეთვე იმისმა სულთანმა ბევრი შავი და ბნელი დღე გამოსცადეს. მიუხედავად ამისა, ყველანი, ვისაც-კი ოსმალეთის საქმეები შეუსწავლია და სულთანი კარგად გაუცვნია, ერთხმად ამბობენ, რომ აბდულ-ჰამიდს დიდი სამსახური მიუძღვის სახელმწიფოს წინაშეო. „თუ ოსმალეთი, როგორც მოსალოდნელი იყო, არ დაიღუპა 1878 წელს რუსეთისაგან დამარცხების შემდეგ,—სწერს ექიმი განს ბარტი, რომლის მამაც მასწავლებლად იყო ოსმალეთში,—თუ იგი დღემდის არსებობს და ევროპის სახელმწიფოთა შორის თითქმის უფრო საპატიო ადგილიც უჭირავს, ვიდრე წინად ეჭირა, ეს მხოლოდ სულთანის აბდულ-ჰამიდისა და იმის მეცადინეობის წყალობით". ამ ბარტის სიტყვით, ოსმალეთი, როგორც სახელმწიფო, უეჭველად აღიგვებოდა დედა-მიწის ზურგიდგან, ისეთი ჭკვიანი, მშრომელი და მოხერხებული სულთანი რომ არა ჰყოლოდა, როგორიც ეხლა ჰყავს.

სულთანის მეოხებით ამ ოცის წლის განმავლობაში საოცრად გაძლიერდა ვაჭრობა მრეწველობა ოსმალეთში, დაარსდა მრავალი სასწავლებელი, გავრცელდა ხალხში სწავლა-განათლება, გაყვანილ იქმნა რკინის გზები და სხვა. ჯარიც საუკეთესოდ მოაწყო სულთანმა. როგორც ვუწყით, ამ ჯარმა სამი-ოთხის წლის წინად ერთის დაკვრით მიწასთან გაასწორა საბერძნეთის ჯარი. ამბობენ, ეხლა ოსმალეთის ჯარი სხვა სახელმწიფოების ჯარს არ ჩამოუვარდებაო.

* * *

კერძო ცხოვრებაში აბდულ-ჰამიდი არაფრით არა ჰგავს ოსმალეთის წინანდელ მბრძანებელთ. იგი უფრო კარ-ჩაკეტილ ცხოვრებას ატარებს და ერიდება მდიდარ ნადიმებს, გასართობებს. სულთანი განუშორებლად თავისს სასახლეში სცხოვრობს, ილდიზ-კიოსკში და თითქმის მთელ დღეს მუშაობაში ატარებს. დილით ძალიან ადრე დგება, ხუთ საათზედ.

ილდიზ-კიოსკის უმთავრეს ნაწილს ჰარამხანა შეადგენს. უწინ ჰარამხანის კარები დახშული იყო უცხო-ქვეყნელთათვის, დღეს-კი ევროპიელ მანდილოსნებს თავისუფლად შეუძლიანთ იქ შესვლა. თვით ეხლანდელი ჰარამხანაც აღარა ჰგავს უწინდელ სულთანთა ჰარამხანებს. ჯერ ერთი იქ მყოფ ქალთა რიცხვი წინანდელთან შედარებით სამჯერ და ოთხჯერ ნაკლებია, მეორე—ეხლა დიდ ყურადღებას აქცევენ ჰარამხანის ქალების სწავლა-განათლებას. ასწავლიან სხვა-და-სხვა საგნების გარდა უმთავრესად მუსიკას, ხატვას, ევროპიულ ცეკვა-თამაშს. ჰარამხანის ქალებისათვის ძალიან ხშირად იმართება სასახლეში წარმოდგენები, კონცერტები და საცეკვაო საღამოები.

ჰარამხანაში უმთავრესად ჩერქეზთა ქალები არიან. სულთანს რამდენიმე განსაკუთრებული მოხელე ჰყავს, რომელნიც ყოველ წელიწადს ჩერქეზებით დასახლებულ სოფლებში დადიან და ყიდულობენ ჰარამხანისათვის ახალგაზრდა, ლამაზს ქალებს. თითო ქალში მოხელე 900-დგან 3000 მანეთამდე იხდის. ხშირად უმთავრესნი მოხელენიც მიართმევენ ხოლმე სულთანს საჩუქრად ნაყიდს ქალებს.

სულთანის სასახლეში დიდ ყურადღებას იქცევენ აგრეთვე ცხენებ.

სამსახურს საოჯახო საქმეების გამო თავი დაანებეს, დანიშნულ იქმნენ: კუკიის მე-II სასწავლებელში ა. ტ. ივანოვისა; კუკიის მესამე სკოლაში გადმოყვანილ იქმნა ავლაბრის მესამე სკოლის მასწავლებელი მ. ი. კრუპენიკოვისა და მის ადგილზედ ე. ა. ჭანტურაევისა, ხოლო ავლაბრის I სასწავლებელში—ქ-ნ არარატოვისა.

*** ოთხშაბათს, 13 სექტემბერს, პოლიციის მოხელემ იოსებ გოგნიძემ მიიყვანა პოლიციის მეათე ნაწილში მის მიერ შეპყრობილი გორის მაზრის მცხოვრები გლეხი ანტონ დუდაშვილი, რომელსაც აღმოაჩნდა ნაქურდალი ჩოხა ქილებით, ხანჯალი, ქუდი, ახალუხი და სხვა ნივთები. ეს ნივთები, როგორც განაცხადა დუდაშვილმა, მას მოუპარავს პოლიციის მე-9 ნაწილში, ავჭალის ქუჩაზედ მცხოვრების ილია გოგოლაძისათვის.

*** ოთხშაბათს, 13 სექტემბერს, პოლიციის მე-9 ნაწილში, რაჭის მაზრის კვაცხუთის მცხოვრებმა ნესტორ სალაღლიძემ გამოაცხადა, რომ 12 სექტემბერს, ღამის 11 საათზედ, რკინის გზის ლიანდაგს იქით თავს დამეცა რაჭისავე მაზრის სოფელ წესის მცხოვრები იოსებ მაისაშვილი ორს უცნობ კაცთან ერთად და წამართვა 320 მანეთიო. დამნაშავე მაისაშვილი პოლიციამ უკვე დააპატიმრა.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ს. ძევრი (ქუთაისის მაზრა).** მრავალ გვარს ჩვენს გაჭირვებას, მიუხედავად იმისა, რომ წრევანდელ მოსავლისაგან უნუგეშოდა ვრჩებით, თან მოჰყვა ავადმყოფობა, რომელსაც მუცლის ეძახიან. თქვენი მტერია, რომ მართლა ამ ავადმყოფობამ დიდი ზარალი მოგვცა: ვერ ჰნახავთ მოსახლეს, რომ ერთი, ორი და მეტი ავადმყოფი არ იყოს მისს სახლში. დღე ისე არ გაივლის, ერთი მაინც არ იმსხვერპლოს ამ ავადმყოფობამა და მომეტებულად-კი უმაწვილებს ემტერება და ამ გაჭირვებაში მყოფი სოფელი მოკლებულია ყველასაგან ყურადღებას. იმედ-დაკარგული გლეხები თავიანთს სახლებს სტოვებენ და მთაში ესახლებიან, ვითომ-და იქ ყოფნით დაიფარვენ თავს. აღარ დარდობენ მას, თუ ოჯახის მიტოვებით რა ზარალი მიეცმათ რომ ჰკითხავთ, გიპასუხებენ: „ოღონდ კაცი იყოს კარგად და სახლ-კარი წყალმაც წაუღიაო"-ო. ამ რიგად გლეხ-კაცი თავის ოჯახის რომელისამე წევრის გარდა აკლდება წლის საზრდო-საბადებელსაც, რადგანაც დრო ისეთია, რომ თუ ეხლა არა შეიტანა-რა სახლში, ზამთარში შიმშილი მოელის: სიმინდი სატეხია, ყურძენი საკრეფი და სხ. მერე ისიც იმ დროსა ხდება ეს, როცა მოსავალი ყოველისფრით ნაკლებია და, რაც არის, ისიც ავადმყოფობის მიზეზით გვიფუჭდება.

ამ გვარს გაჭირვებაში დახმარება ყველასაგან საჭირო არის და ნამეტურკი მათგან, ვის მოვალეობასაც შეადგენს, რომ რომელ სოფელშიაც ესრეა გახშირებული ავადმყოფობა, შემწეობა აღმოუჩინონ და ყოველივე ღონისძიება იხმარონ ამის მოსასპობლად; აუხსნან აგრეთვე ხალხს, თუ რა არის მიზეზი ამ ავადმყოფობის გავრცელებისა და როგორ უნდა მოიქცნენ, რომ მალე მოისპოს იგი.

მ. როფიაქ ძე

## ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲪᲝᲓᲜᲐᲪ ᲒᲕᲭᲘᲠᲘᲐ.

შეუცდომელი ლაპარაკი კარგი და საამურია, მაგრამ შეუცდომელი წერა უკეთესია და საჭიროც არის, რადგანაც ნალაპარაკევი ჩაივლის და ნაწერი-კი დარჩება ჩვენდა ჭკუისა და ენის სასწავლებლად. თუმცა ასეა და ჩვენებური წიგნისა და კალმის კაცებიც ასე ჰფიქრობენ, მაგრამ საქმით, ე. ი. ლაპარაკშიაცა და წერაშიაც არაფრად დავდევთ ენის წესებსა და ლექსთა წარმოებას ვაუკუღმართებთ თვითონ ენის ბუნებრივის სიკეთის უარ-მყოფელნი. მაშინ როცა ევროპის განათლებულ საზოგადოებაში შეცდომით ლაპარაკი თუ წერა მოლაპარაკეს თუ მწერალს ამცირებს, ჩვენში ამ გვარი ნაკლი ნაკლად არ ითვლება, რადგანაც მსმენელ-მკითხველთა შორის გამკითხველი არავინ არის და მწერლობას თითქო მოწყალის თვალით უყურებს. ასე ემართება ჩვენში ჩვენებურს, თორემ უცხო ენით მოუბართ რო ერთი ხმა გადაუბრუნდეთ და ისე ვერა ჰსთქვან, როგორც რიგია, თავში იცემენ, ეს რა მოგვივიდაო. წერას ხომ შიშითა და პატივით ეკიდებიან და აპა როგორ შესცდებიან.

შეუცდომელისა და მოხდენილის ლაპარაკის სიყვარულით უნდა გავიმსჭვალნეთ და მისაბაძად ვიყოლიოთ საფრანგეთი, სადაც ენის სიკეთისათვის ზრუნვენ დღემდისაც და უწინ ხომ ზოგიერთი იქაური მოღვაწენი ჩაუსხდებოდნენ ხოლმე კეთილ მოუბართა ნალაპარაკევის მოსაგონებლად და ჩასაწერად, იმ ენამახვილ და სიტყვა მოსწრებულ გვამთა, რომელნიც პარიჟის სამწერლო დარბაზებს ამშვენებდნენ მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეში. ჩვენ კი ისე დავეცით, რომ ენის უმეცრება ცოდნად მიგვიჩნევია და ბეჭდვითაც გამოგვაქვს გარე, თითქო კაი საქონელი იყოს ის ყოვლად მახინჯი ფორმები, სიტყვები და კილო, რომელიც უფრო გადაგვარებას გვიქადის, ვიდრე ენის განვითარების ნაყოფს მოასწავებდეს. სულ კი იმის გამო დაგვემართა ასეთი „საჯაყი" საქმე, როგორც გურულები იტყვიან, რომ გვინდა ფონს გავიდეთ როგორმე ჩვენ ჩვენის სოფლის ენით და იმით, რასაც ჟურნალ-გაზეთობა გვიღეჭავს. ჩვენ წინაპართა გონების ნაწარმოების შესწავლას-კი თითქოს ცოდვად და უკან ჩამორჩენად ვთვლიდეთ. იმის მაინც რად არ გავსინჯავთ ჩვენ აწინდელ ცხოვრებისათვის მოუმზადებლობას, რომ გაზეთსა და ჟურნალს იქით, ისიც პატარ-პატარა და წყალ-წყალა წერილებით, ჩვენი გონებრივი მუშაობა წინ აღარ მიიწევს, მაშინ, როცა ჩვენი წინაპრები თანამედროვე, მეცნიერების კვალში იდგნენ და და სამტკიცებლად აუარებელი საკუთარი, თუ თარგმნილი ვეებერთელა თხზულებანი გვიანდერძეს. ბევრჯელ პოლიტიკური მდგომარეობაც არ ყოფილა მათი ხელის შემწყობი, მაგრამ მაინც გონებრივის მოღვაწეობისათვის თავი არ დაუნებებიათ, ის კი არა, უმეტესის მხნეობით ხელთ კალამი უპყრიათ, და ვახტანგ მეექვსის ცხოვრებაც ამას კარგად ჰმოწმობს. დიახ, წინაპრები გვჯობნიდნენ ენის ცოდნითაცა და შრომისა და საქმის სიყვარულითაც. ამ ძველ მწერლობასთან კავშირ შეწყვეტით მუშაობა ცალ მხრივია და უნაყოფოც, ამიტომ აწინდელი ჩვენებური მწერალი მოვალეობად უნდა ჰსთვლიდეს ვიდრე საწერად გამოვიდოდეს, გულდასმით შეისწავლოს ჩვენი ძველებური ისტორიულ სიტყვა-კაზმული და სხვანაირი ლიტერატურა, თუ მრთლად არა, ის მაინც, რაც მის მოწოდებას შეეფერებოდეს, თორემ გიმნაზია და უნივერსიტეტი ქართულის მწერლობისთვის არც სიმართლეს და არც საშუალებას არ იძლევა, თუ საგანგებოდ არ შევიძინეთ ქართული ცოდნა, რომელიც დაცულია ძველ ქართულ წიგნებში თუ ხელთ-ნაწერებში. ამ ნაირად გაიბმის ძველთან კავშირი, ქართულის ენის შესწავლაც წინ წაიწევს, რომ აწინდელი მეცნიერება უფრო თამამად განმარტოს, და აღორძინდება ისეთი მწერლობა, რომელიც შინაარსითაცა და სახითაც შემძლე იქნება გვერდით ამოუდგეს სხვა დაწინაურებულ ერთა ლიტერატურას და არ გვაგრძნობინოს არც საკუთარის გიმნაზიისა და არც საკუთარი უნივერსიტეტის უქონლობა.

პეტრე მირიანაშვილი

## უცხოეთი

**ჩინეთი.** ისე აიწეწ-დაიწეწა ევროპის დიპლომატია, რომ კაცი ვეღარაფერს გაიგებს, რა აზრსა და დასკვნას დაადგნენ სახელმწიფონი ჩინეთის საქმეების შესახებ. ამ ბოლოს დროს საქმე გერმანიის ნოტაზედ მიდგა. როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, გერმანიამ თავისს ნოტაში განაცხადა, მოლაპარაკების დაწყებამდე ჩინეთმა ჯერ დამნაშავენი უნდა გადმოგვცესო. დაბეჯითებით არავინ იცის ამ წინადადებას სხვა სახელმწიფონი როგორ მიეგებნენ, ეს-კია, ამერიკას არაფრად ეჭაშნიკა იგი და წინააღმდეგობაც განაცხადა. როგორც გაზეთი „Glode"-ს ნიუ იორკიდგან ატყობინებენ, შეერთებულ შტატებს უკვე მიუმართავს სახელმწიფოებისათვის და გამოუცხადებია, ვერ მივიღებთ გერმანიის წინადადებას, რადგანაც იგი პირდაპირ ეწინააღმდეგება იმ პირობებს, რომელთა წყალობით შეერთებული შტატები სახელმწიფოთა კონცერტს მიემხროო. ამ პირობაში ნათქვამი იყო, მაგალითად, რომ ჩინეთის ის მოხელენი, რომელნიც დამნაშავენი აღმოჩნდებიან, სამართალში უნდა მისცეს და დასაჯოს ჩინეთისავე მთავრობამ და არა სახელმწიფოებმა. ამიტომ, ნათქვამია შემდეგ შტატების პასუხში, ამერიკა ცალკე, თავისით შეუდგება მოლაპარაკებას ჩინეთის წარმომადგენლებთანაო. ამ რიგად კონცერტის დარღვევა უკვე დაიწყო. შეიძლება ამერიკის მაგალითს სხვა სახელმწიფომაც მიჰბაძოს.

— როგორც ვაშინგტონიდგანვე იუწყებიან, ამ სახელმწიფოს მთავრობას უცნობებია თავისს ელჩებისათვის, რომ ჩინეთიდგან გაყვანილი იქმნება ამერიკის ჯარიო. დასტოვებენ ამერიკელნი ჩინეთში მხოლოდ ერთ რაზმს ქვეითა ჯარისას, ერთ ესკადრონს კავალერიას და ერთ ბატარეას არტილერიას. უცნობებია აგრეთვე, რომ ამერიკა ლიხუნგჩანგსა და პრინც ცინს კანონიერ რწმუნებულებად სცნობს და მალე მათთან მოლაპარაკებასაც შეუდგებაო.

— ძნელი საფიქრებელია, რომ ჩინეთის საქმე რაც მოხდა, იმით გათავდეს და ამ საქმემ სხვა რამ არ გამოიწვიოს. გერმანია დამნაშავეებს თხოულობს ჩინეთის მთავრობისაგან, ხოლო როგორც უკანასკნელად გამოირკვა, დამნაშავენი არიან ქვრივი იმპერატრიცა, პრინცი ტუანი და სხვანი, ე. ი. მთავრობა. გამოდის, რომ ჩინეთის მთავრობამ თავისი თავი უნდა გადასცეს სახელმწიფოებს და მოახსენოს, მობრძანდით და დაგვსაჯეთო. სწორედ ამასა სწერს გაზეთი „Morn. Post"-ი და ბოლოში უმატებს: „რასაკვირველია, ჩინეთის მთავრობა თავისს დასჯას არ

---

არც ერთ მეფეს არა ჰყავს ისეთის კარგის ჯიშის ცხენები, როგორიც სულთანს. სულთანის საჯინიბეში 2000 საუკეთესო არაბული ცხენია. საჯინიბეს განსაკუთრებული ობერ-შტალმეისტერი განაგებს, რომელსაც რამდენიმე ხელ-ქვეითი მოხელე ჰყავს.

აბდულ-ჰამიდს ძალიან უყვარს თურმე კითხვა. სასახლეში სხვა დაწესებულებათა შორის ეგრედ წოდებული „მთარგმნელთა ბიუროც" არსებობს. ბიუროში 60 მთარგმნელია. მათ კარგად იციან ყველა ევროპიული და აზიური ენა. ჯამაგირი ამ მთარგმნელებს თვეში თითოს 100-დგან 400 მანეთამდე ეძლევათ. ბიურო იწერავს თითქმის ყველა ცნობილ გაზეთსა და ჟურნალს ევროპის, აზიისა და ამერიკის სახელმწიფოებიდგან. პოლიტიკურ წერილებს გარდა სულთანისათვის სთარგმნიან სხვა და სხვა ენიდგან რომანებს, მოთხრობებს და სამეცნიერო წერილებსაც-კი. დღემდე ამ ბიუროს საიმპერატორო წიგნთ-საცავისათვის გადაუცია 5500 გადათარგმნილი მოთხრობა. ამ ხელთ-ნაწერებს სულთანის გარდა ჰარამხანის ქალებიც კითხულობენ.

***

სხვა მრავალ კონგრესთა შორის პარიჟის წლევანდელ მსოფლიო გამოფენის დროს დედათა კონგრესიც გაიმართა. ანგარიშით ეს მეხუთე კონგრესია. პირველი ორი 1878 და 1889 წლების მსოფლიო გამოფენათა დროს გაიმართა იმავე პარიჟში. მესამე 1892 წელს, ხოლო მეოთხე—1896 წელს. წლევანდელი კონგრესი იმითია საყურადღებო, რომ მას სახელმწიფოთა ოფიციალური წარმომადგენელნიც დაესწრნენ. ასეთი წარმომადგენელნი კონგრესზედ საფრანგეთის მთავრობის გარდა, ჰყავნდათ რუსეთსა, ბელგიასა, რუმინიასა, მექსიკასა, ეკვადორსა და შეერთებულ შტატებს.

კონგრესის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა მარიამ პონიონი, ჯერედ ახალგაზდა ქალი, თავმჯდომარის ამხანაგებად ქ-ნნი ბონევიალი და ვენსანი, ხოლო მდივნად დედათა გაზეთის „La Fronde"-ს მთავარი რედაქტორი ქ-ნი დიურანი. დელეგატთა სიმრავლით ამ კონგრესს ვერც ერთი წინანდელი კონგრესი ვერ შეედრება.

დაწყებისას თავმჯდომარემ მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა. ქ-ნი პონიონი პირველად იმას შეეხო, თუ ამ ოც, ოც-და-ათის წლის განმავლობაში რა გააკეთეს ქალებმა სხვა და სხვა სახელმწიფოში და თავიანთის მეცადინეობით რა უფლებანი მოიპოვეს. ბოლოს თავმჯდომარემ მოაგონა კრებას, რომ საფრანგეთში მუშა ქალთა რიცხვი ბევრით აღარ ჩამორჩება მუშა კაცთა რიცხვს: როგორც სტატისტიკიდგანა სჩანს, დღეს საფრანგეთის ქარხნებსა და სხვა სამრეწველო და სავაჭრო დაწესებულებებში 3,428,968 მამაკაცთან ერთად 2,565,625 დედაკაცი მუშაობს.

კონგრესზედ მრავალი საყურადღებო მოხსენება იქმნა წაკითხული. ამ მოხსენებათა ერთი ჩამოთვლაც-კი დიდს ადგილს დაიჭერს. ვიტყვით მხოლოდ, რომ დელეგატები შეეხნენ ყველა დარგს შრომისას და მოითხოვეს ყველაფერში მამაკაცისა და დ დაკაცის უფლებათა გათანასწორება. როგორც ვუწყით, დღეს ყველგან შრომაში ქალს ნაკლები სასყიდელი ეძლევა, ვიდრე კაცს. კონგრესმა ეს უსამართლოდა სცნო, რადგანაც ქალის შრომა ნაყოფიერებით კაცის შრომას არ ჩამოუვარდება და დაადგინა, ეცადოს, მამაკაცის და დედაკაცის შრომის სასყიდელი გათანასწორებულ იქმნას.

შემდეგ კონგრესმა საჭიროდ სცნო, რომ სწავლა-განათლების საქმეშიაც ერთნაირი უფლებანი მიენიჭოს ორსავე სქესს. უსამართლობაა, განაცხადეს კონგრესზედ, სახელმწიფოს საერთო ფულით მარტო ერთი სქესი სარგებლობდეს, მარტო იმას შეეძლოს უმაღლესისა და სპეციალურ განათლების მიღებაო. ამასთან კონგრესმა სასურველად სცნო, ქალსა და კაცს ერთად ასწავლიდნენ, ერთს სკოლაში და არა ცალ ცალკე.

კონგრესი ბევრ სხვა საგანსაც შეეხო. ცხარე კამათი გამოიწვია, სხვათა შორის, ქ-ნ დე სენტ-კროას მოხსენებამ პროსტიტუციის შესახებ. კრებამ ერთხმად აღიარა, რომ ზნეობა ერთნაირი უნდა იყოს როგორც დედაკაცისა, აგრეთვე მამაკაცისათვის, ამიტომ ზნეობის პრინციპთა დარღვევისათვის კანონი ერთნაირად უნდა ეპყრობოდეს დედაკაცსა და მამაკაცს. შემდეგ კრებამ დაადგინა: „კერძო პროსტიტუცია—სინიდისის საქმეა და დანაშაულობას არ შეადგენს", „სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს ორსავე სქესის მცირეწლოვანთა ზნეობის დაცვისათვის და სჯიდეს კაცსა თუ ქალს იმ მოქმედებისათვის, რომელიც საზოგადო უფლებათ შეეხება და სხვანი.

ერთი გაზეთი სწერს დედათა კონგრესის გამო: „დამსწრე მამაკაცნი დარწმუნდნენ, რომ დედაკაცი დღეს არა, ხვალ მაინც გაიტანს თავისას და განთავისუფლდება იმ მონობისაგან, რომელშიაც აქამდე იმყოფება. ბევრი დარბაზში შესვლისას ეჭვის თვალით უყურებდა კონგრესს, მაგრამ გამოსვლისას სჯეროდა, რომ იქ მყოფნი სიმართლესა და ჭეშმარიტებას ეძიებენ. კაცი, ჰხედავდა რა დარბაზში მთელ ჯარს ქალებისას, რომელთა ერთად-ერთს იარაღს სიტყვა და რწმენა შეადგენდა, თანდათან რწმუნდებოდა, რომ ეს სხვა-და-სხვა ერისა და სახელმწიფოს წარმომადგენელნი, ერთის იდეით გატაცებულნი ახალგაზდანი და მოხუცნი, ლამაზნი და ულამაზონი, ღარიბნი და მდიდარნი ბრძოლას მანამდე არ გაანებებენ თავს, იარაღს მანამდე არ დაჰყრიან, ვიდრე სიტყვას საქმედ არ აქცევენ, ვიდრე არ განახორციელებენ დიდის ხნის სურვილს".

ი. ა—ძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოისურვებს და მაშინ ხელ-ახლა ომი ატყდება, ხოლო რით გათავდება ეს ომი, მარტო ღმერთმა უწყისო“. მეორე გაზეთს „Köl. Hort. Zeitung“-ს ჩინეთიდგან ატყობინებენ: „ჩინეთის წარმომადგენელი არ მიიღებს ისეთ პირობებს, რომელსაც შედეგად ქვრივ იმპერატრიცის დასჯა მოჰყვეს. საშუალო და სამხრეთ ჩინეთის პროვინციების ვიცე-კოროლები მზად არიან თავი გამოიდონ იმპერატრიცასათვის, დიდძალი ჯარი შეჰკრიბონ და ევროპიელთა წინააღმდეგ გაიყვანონ საბრძოლველადო“. ასე მოხდება, თუ იმპერატრიცის წინააღმდეგ მოისურვეს რამე სახელმწიფოებმა, ხოლო მათ მოისურვეს-კი არა, როგორც გაზ. „Neue Freie Presse“ გადმოგვცეს, უკვე გადასწყვიტეს, რომ იმპერატრიცა უეჭველად გადააყენონ და სრულიად ჩამოართვან მართვა-გამგეობა.

— გაზეთ „Express“ გონკონგიდგან ატყობინებენ, რომ იპოვნეს იმპერატორის ახალი ედიქტიო. ამ ედიქტში ნათქვამია თურმე, რომ საიმპერატორო ჯარისა და მოკრივეთა საოცარ ვაჟკაცობის წყალობით უცხოქვეყნელთა ჯარიდგან ორი-სამი კაცი ძლივს გადარჩა ცოცხალი, ისინიც მთავრობას ჩაუცვივდნენ ხელში და ამ დღეებში დასჯილ იქმნებიანო. დამარცხებულმა და დამცირებულმა უცხო-ქვეყნელებმა ზავის ჩამოგდება მოითხოვეს და ამ იმპერატორმა მადლის თვალით შეჰხედა იმათ თხოვნასაო. კორესპონდენტის სიტყვით, ჩინელთა ცხრა მეათედს სჯერა თურმე ამ იმპერატორის ედიქტის სიტყვები.

## ქართულის ენის საუნჯის მასალად

(შემდეგი *)

ფ.

ფანდალა—ავათმყოფ. პირუტყ. მთვრალსავით დააწყებინებს ბარბაცს—მ კვირას და ჰკლავს.

ფაყვე—ზომაზედ დიდი (ტანისამოსი).

ფლოქვი—რქიანის საქონლისა და აქლემის ფეხი (ფლოქვი ორის ჩლიქისაგან შესდგება) იმერ.

ფოლო—ცხენის, ჯორის, ვირის ფეხი (ერთიანი) იმერ.

ფოლი—ნაკლულევანება, მიზეზი.

ფართხუნი—რბილის საგნის ქნევით ხმაური.

ფ.თქა—ჭურჭელია (რუს. кружка) იმერული.

ფათური—სიჩქარით საქმის კეთება, ჯარასავით ტრიალი.

ფარფაში—უზრუნველად, თავისუფლად სიარული.

ფართი-ფურთი — ადვილის საქმისათვის დიდი მზადება.

ფართხალი—მიწაზედ დაგდებული სულდგმულის მოძრაობა (თევზის, მომაკვდავ კაცისა და სხვ.)

ფენთხი—გვერდების ნაწილი, რომელიც ნეკნებით არ არის დაფარული.

ფინთიხი—თოფის ტყვია.

ფრჩხილა—აჩაჩა ურმის ორ-კაპიანი ხე, რომლითაც ურემი უღელს უერთდება.

ფუტი—ფრინ. ავათ-მყოფ. ძალიან გახდება და კვდება. (ასეთ მფრინველს რომ თავი მოსჭრათ, ორი, ან სამი წვეთი სისხლი თუ გამოუვა.)

ფრთქიალი (ფრთხიალი) — ფრინველთა ფრენის ხმა.

ქ

ქაქანი—ყბედობა (იმერ.)

ქანთელა—ავადმყოფ. პირუტყვ. ენა ასტკივდება და ბოლოს სულაც მოსწყდება.

ქაჩაჩი—პირუტყვთ ფოლს ზემოდ ფეხი მოვიწროვებული აქვთ და ამ ადგილს სოლავე ეწოდება; მას ზემოთ, სადაც სოლავე თავდება, პატარა გამობერილი კორძი აქვთ (რომელიც უკან არის მოქცეული); იმას ეწოდება ქაჩაჩი (იმერ.)

ქინჩი—კინჩხი, ქეჩო (იმერ. და რაჭა).

ქლესა—ფლიდი, მატყუარა, ფარისეველი.

ქოქინი—ქლოშინი, დაღალულთ სულთქმა (საბ. ორბ. ქაქანი)

ღ

ღაფვა—მომაკვდავის უკანასკნელ წამებში სულ-თქმა.

ღვარეული—რასაც მცელავი ერთ ჩავლაზე გასთიბავს, იმ მანძილსა ჰქვიან.

ღრაჭი—ქვედა ყბა (იმერ.) (საბა რომ ღრაჭს უწოდებს, იმას ხტილს (ხრტილს) ეძახიან).

ღრიტინი—მეტის-მეტი თხოვნა, მუდარით თავის მობეზრება.

ყ

ყაბარჩუყი—ავათმყ. პირუტ. ქაჩაჩ-სოლავეში დაჰყრის და ჩირქი სდის (რუსულად мокрецъ).

ყაბზობა—მუცელში შეკვრა.

ყალამო—ბოხოხის ქუდის ძრო.

ყანდი—ზიანი (დაყანდული—დაზიანებული, დამიზეზებული).

ყასიდად—განზრახ, ტყუილად.

ყიფი—ადვილი გასატეხი (მაგ. ბზა ყიფია, მუხა-კი—ძარღვიანი).

ყიყვი—გამობერილი ყელი ჩიჩახვივით; ავადმყოფ. (რუს. зобъ).

ყელ-ზევითობა, ამპარტავნობა, ყელმაღლობა.

ყელ-მოღერება—თავმომწონედ ყოფნა.

ყორაო—მჟავე საწებელი (კოწახურისას, ან ტყემლისას აკეთებენ).

ყოჩი—ბოტი.

ჩ

ჩაბრასტი—ღილი.

ჩალანდარი (ჩალვადარი) ვინც ცხენით, ჯორით, ან აქლემით საპალნეს ეზიდება.

ჩემ-ხელა—ჩემ ოდენა (ხ ე ლ ა ცალკე არ იხმარება, სხვა სიტყვასთან-კი ტ ო ლ ს, ზ ო მ ა ს ჰნიშნავს: სახლის ხელა—სახლის ოდენა, ტოლა).

ჩინდარი—გრძელი და მაგარი ეკალი (იმერ.)

ჩორთვა (მოჩორთვა)—გვერდზედ მოქცევა, მოგრეხვა (მაგ. ფეხსაცმლისა).

ჩოდარი—პირუტყვით მოვაჭრე.

ჩინჩილი (ცხოველთა)—ჩანჩალი (ადამიანთა)—სუსტი სირბილი,

ჩურჩუტი—ჩერჩეტი (იმერ.)

ჩუჩხური—ჯოხით, ან სხვა რითიმე ჩიჩინი, ღიტინი.

ნ. ა.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ივერია“ № 200-ი.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 სექტემბერი

**შანჰაი.** აქაური ჩინელი მოხელეები ამბობენ, რომ პრინცმა ტუანმა დედოფლის სახელით უმთავრეს მოხელეთ საიდუმლო ბრძანებით მიჰმართა, რომელშიაც იტყობინება, რომ საიმპერატორო სახლობამ გარდასწყვიტა ომი განაგრძოს უცხო სახელმწიფოებთანაო. ყოველს მოხელეს, რომელიც დაჰხმარებას არ აღმოუჩენს მანჯურთ, ბრძანება, როგორც მოღალატეს, სიკვდილით დასჯას უქადის, მთელის ოჯახის ამოწყვეტასა და წინაპართა სავანის განადგურებას.

**ლორენცო მარკეზე.** გენერლები პოლკერიუ და გამილტონი კომარტიპორტში სდგანან 3000 ჯარის კაცით. იქ დღეს მივა აგრეთვე კიტჩინერი ჰეკტორსპრიუტიდგან. ხვალ რკინის გზის მუშაობის დაწყებას მოელიან ლორენცო-მარკეზესა და იოჰანესბურგის შუა.

**ჰონკონგი.** დასავლეთ მდინარიდგან მოსული ცნობები იუწყებიან, ნიშნები, რომ იქ კვლავ ძლიერდება აჯანყებაო. ამბები მოვიდა, რომ რამდენიმე კიდევაც გაუძარცვავთ. კუნჩუკის ახლო სოფელი გადაუწვავთ ავაზაკებს.

**პრეტორია.** პოლკოვნიკ ლაილის ძლიერი ცხენოსანი რაზმი დევეტის შესაპყრობად წავიდა აქედგან.

**პეკინი.** ჩინეთის იმპერატორის სახლობა ჯერ ისევ შანსის პროვინციის ჩრდილოეთ საზღვარზეა, სადაც იმის მოლოდინშია, თუ რა მიმართულებას მიიღებს მშვიდობიანობის შესახებ მოლაპარაკება. სახელმწიფოებმა მიიღეს წარმომადგენლებათ ნანკინის და ვუჩუანის მმართველები, ხოლო იუნლუს დანიშვნა, რომლის ჯარებიც საელჩოების წინააღმდეგ ჰმოქმედებდნენ, არ შეიწყნარეს.

**ლონდონი.** რობერტსი იტყობინება პრეტორიიდგან, რომ გამილტონს კროკოდილრივერში ხელში ჩაუვარდა ცამეტი ზარბაზანი, რომელთა უმეტესი ნაწილი ბურებისაგან დაზიანებულია, მათ შორის არის ის ზარბაზნებიც, რომლებიც ბურებმა ინგლისელებს წაართვეს; იქვე იპოვეს ბევრი დამტვრეული ბარგის ურმები.

**ლორენცო-მარკეზი.** გერმანიის გემი ჰერცოგი აქედგან მგზავრებით სავსე წავიდა. გემზედ იმყოფებიან ჰოლანდიელები, გერმანელები და ბურები; უკანასკნელთა შორის არიან ტრანსვაალის გენერალ-ფოჩტმეისტერი ალიფენი, გარეშე საქმეთა მინისტრის თანაშემწე გობლერი და რესპუბლიკის ხაზინადარი მალერბი. გემით მიაქვთ აგრეთვე დიდ ძალი ოქროს ზოდი. კრიუგერი ჯერ ისევ გუბერნატორის სახლში სცხოვრობს.

14 სექტემბერი

**პეტერბურგი.** 9 სექტემბერს დამით პოლკოვნიკ ფლუგის მოწინავე რაზმმა ლუტაის სამხრეთით მდებარე მტრის ავანპოსტები დაიჭირა, მოულოდნელის იერიშით აიღო ქალაქი, რომელშიაც ისევ შიგ იყო მტრის 4000 ჯარის-კაცამდე.

რაზმის უფროსი გენ. ცერპიცკი, რომელიც ექვსი როტით მისდევდა ბეიტანიდგან მომავალ კავალერიას უკან, მიუახლოვდა თუ არა ქალაქს, დაუშინეს სიმაგრეებიდგან ზარბაზნები, მაგრამ მან მარჯვე იერიში მიიტანა, დაიჭირა ყველა სიმაგრეები და ხელთ იგდო მთელი არტილერია. ჩინელებმა ბლომად დაჰკარგეს ჯარი. ჩვენს ჯარს არც ერთი კაცი არ დაჰკარგვია. ბეტან-ლუტაის რკ-ნისგზის შტო დანგრეულია.

**ვაშინგტონი.** დიპლომატიურ წრეებში ირწმუნებიან, რომ, როგორც ოფიციალური ცნობებიდგანა სჩანს, პრინცი ტუანი დანიშნულია საიდუმლო საბჭოს თავმჯდომარედ და არა უმაღლეს საბჭოს წევრად. ოფიციალურს წრეებში იმ აზრისანი არიან, რომ სასურველია ამერიკის ჯარი გადაყვანილ იქმნას სხვა პოზიციაზე ვალდერზეს მოსვლამდეო. ჰფიქრობენ, რომ გერმანიასა და სხვა სახელმწიფოების ჯარს სამშვიდობო მოლაპარაკების საქმეში შეუძლიან ომი გამოიწვიოსო. ამერიკის ჯარების ჩინეთიდგან წაყვანის მიზეზად იმას ასახელებენ, რომ ამერიკას არა ჰსურს ომში ჩაერიოს, მით უმეტეს, რომ, როგორც მთავრობა ჰფიქრობს, ამერიკას არავითარი საფუძველი არა აქვს ჩინეთთან ომი დაიწყოს. თუ რომელიმე მეომარი სახელმწიფო დაიჭერს პეკინს, ამერიკის სამხედრო ყარაული ყოველს შემთხვევაში ამერიკის საელჩოს დაიცავს.

15 სექტემბერი.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა შვილებითურთ 14 სექტემბერს წაბრძანდნენ სპალიდგან ყირიმის სამხრეთ ნაპირზედ.

„რუსეთის ტელეგრაფის სააგენტო“ საჭიროდ სთვლის განმარტოს, რომ კანტონიდგან მიღებულ კვანტუნში მომხდარ უცხო ქვეყნის მისსიათა გაძარცვის შესახებს დეპეშაში ლაპარაკია დღიდუნის ნახევარ-კუნძულის კვანტუნზედ-კი არა, არამედ გუან-დუნეს პროვინციაზედ, რომლის დედა-ქალაქიც კანტონია.

**პრეტორია.** ბურთა ძალის უმთავრესი ნაწილი, რომელთანაც იმყოფებიან შალკ-ბურგერი და გენერალი ვილიენი, პიტერსბურგიდგან აღმოსავლეთით იურის თავს. ძალიან სენიანი ალაგია და ტყე არტყია, იქიდგან ბურები ვერსად გავლენ, რადგან რკინის გზა ინგლისელთა ხელშია.

**პარიზი.** საფრანგეთის შანჰაელი ელჩი იუწყება დეპეშით, რომ გენერალი ტუნფუცზიანი დანიშნულ იქმნაო დასავლეთისა და ჩრდილოეთის ჯარების მთავარ-სარდლად.

**შანჰაი.** ბრძანება გამოვიდა, რომ ახალი სასახლე იქმნას აგებული სინანფუში. ლიხუნგჩანგი ტიანძინიდგან პეკინში წავიდა.

**ვაშინგტონი.** შენმა აცნობა აქაურს გარეშე საქმეთა სამინისტროს, რომ პრინცი ტუანი დანიშნულ იქმნა იმპერატორის მთავარ-მდივნადო. უცხოქვეყნის ჟურნალ-გაზეთების იმ აზრის წინააღმდეგ, რომ ვითომ ტუანის დანიშვნა პირდაპირი შედეგია ამერიკის იმ პასუხისა, რომელიც გერმანიის საყოველთაო ნოტას გასცა, გარეშე საქმეთა სამინისტრო აღნიშნავს, რომ ტუანის დანიშვნის ამბავი გამოქვეყნებულ იქმნა 1 სექტემბერს, ხოლო დანიშვნით კი ცოტა ადრე დაინიშნა, ამერიკის პასუხი კი 10 სექტემბერს იყო გამოქვეყნებული, ხოლო ჩინეთამდე-კი ეს პასუხი რამდენისამე დღის შემდეგ მივიდაო.

**ვენა.** ამბობენ, რომ იაპონიის იმპერატორი მომავალს გაზაფხულზედ ევროპაში წავა, ჯერ პეტერბურგსა ჰნახავს, ხოლო ვენაში მაისში მივაო. „Politische Corr.“-ი დასძენს, რომ იაპონიის მთავრობა დაეთანხმა ბიულოვის საყოველთაო ნოტასაო.

**შანჰაი.** ვალდერზეე გემით „გერტა“-თი 11 სექტემბერს მოვიდა ჩიფუში; ტაკუში 12 სექტემბერს დილით მოელოდნენ.

**ფრეიბურგი.** გენერალმა სეტლდამ 7,000 ჯარის-კაცი განათავისუფლა შვეიცარიის მეცხოვანე ჯარი, რომელსაც გარს ბურები ერტყნენ. განთავისუფლების წინ ბრძოლა უძლოდა. ბურები დიდად დაზარალდნენ. ბურების უფროსი ტყვედ იქმნა წაყვანილი,

**ტიანძინი.** ჩაფეი მოვიდა აქ, ოფიციალურად იყო ლიხუნჩანგთან და თათბირი ჰქონდა მორიგების შესაძლებლობის შესახებ. სხვა დიდთა სახელმწიფოთაგან აქამდე მხოლოდ რუსეთმა გაუწია ანგარიში ლიხუნგჩანგის აქ ყოფნას. ხმა დადის, რომ რუსები ლუტაის ციხე-სიმაგრების დაპყრობის შემდეგ სასწრაფოდ წავიდნენ რკინის გზისაკენ ჩრდილოეთით, რათა შანხაიგუანი დაიპყრონო.

## წერილი რედაქციის მიმართ

ამ ოცის წლის წინად გორში მოხდა თავად-აზნაურობის კრება განსვენებულის კონსტანტინე მამაცაშვილისა და ადიკო ამილახვრის თაოსნობით. ამ კრებაზე საზოგადოებამ გადასწყვიტა, გაეწერა თვის შორის შეძლებისა და გვარად სათავად-აზნაურო სკოლის სასარგებლოდ ფული, თითო კომლს ორმოცი თუმნიდგან ათ თუმნამდე, შემდეგ ეს გარდაწყვეტილება მთელმა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ მიიღო. დღეს ეს სკოლა, ჩვენდა საბედნიეროდ, მთელ გიმნაზიად გადიქცა. სახლის ალაგი, მშვენიერი და ფართო, ნაყიდია, მასალა ბლომად არის მიზიდული. აგური დიდ-ძალია დამწვარი და დასაწვავი. ექვსი აგურხანა მუშაობს. გეგმებიც დამტკიცებულია და ამ დღეებში საძირკველსაც ჩაჰყრიან. მგონი, ვისაც ამ საქმისთვის გული შესტკივა, ის ბოქაულსა და ჩაფრებს არ მოუცდის, თავის მოვალეობას აასრულებს და ამ საშვილი-შვილო საქმეს ხელს მოუმართავს. ნათქვამია, „ძმა ძმისთვისა ამ დღისთვისაო“. მე, იმ კრების ერთი დამსწრეთაგანი, ამ თავითვე ვიხდი ჩემ ხვედრს ათ თუმანს (ხუთი თუმანი მაისში შევიტანე და ხუთიც ეხლა შემაქვს) ფულს სკოლის სასარგებლოდ.

თავად აზნაურობას ამ საუკუნეში ასეთი საქმე არა დაუწყვია-რა, დასრულებას-კი მხნეობა, ერთობა და ფული სჭირია *).

ი. ფურცელაძე

*) რედაქციამ დანიშნულებისამებრ გადასცა ფული. რედ.


## განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 18 სექტემბერს, შუადღის 12 საათზედ, გამგეობისავე თანადასწრებით მოხდება

საჯარო ვაჭრობა,

რომელზედაც იჯარით გაიცემა კობის ქუჩის მოკირწყვლის საქმე, ქალაქის პირველ ნაწილში. სულ მოსაკირწყლია 123,01 საჟ., სამუშაო 1087 მან. 90 კაპეიკისა.

მსურველს პირობანი შეუძლიან გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში გასინჯოს ყოველდღე, კვირა-უქმეს გარდა 9 დგან 3 საათამდე.

(3—5.—1)

მიხეილ ალექსანდრეს-ძე

ნასიძე

15 ივლისიდამ ამა წლისა იცხოვრებს მუდმივად ქ. სიღნაღში.

შეუდგენს მსურველთ ყველანაირ ქაღალდებს და დაიცავს სისხლის სამართალში მიცემულ პირთ სასამართლოებში.

მთხოვნელებს მიიღებს დილით 8 საათიდამ 12-მდე და საღამოობით 5—7-მდე

(30—უ.—22)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 15 го Сентября 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი. გამომცემელი ილია ჭავჭავაძე